ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
N 38 13
ბრძანება

13/02/2020

მაია ღოღობერიძესთან სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფუნქციების განაწილების შესახებ

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 04 ივნისის N25 დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტთან საორგანიზაციო საკითხებში, მაია ღოღობერიძესთან, განისაზღვროს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების ფუნქციები:

1.1. საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმების შედგენა, სხდომაზე გამოთქმული წინადადებისა და შენიშვნების აღრიცხვა, მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმება, რედაქტირება, რეგისტრაცია და გამოქვეყნება.

1.2. საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველი საკითხების და ამ საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი მასალების მომზადება.

1.3. საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომების და სხვა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა.

1.4. საკრებულოს სხდომის და საკრებულოს თანამდებობის პირების სხდომაზე დასწრების აღრიცხვა, (მოხსენებითი ბარათი).

1.5. საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ასევე მიღებული

დადგენილებების განთავსება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს'' ოფიციალურ ვებ-გვერდზე.www.matsne.gov.ge.

1.6. ტექნიკური მომსახურეობის გაწევა ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებზე.

1.7. საკრებულოს რეგლამენტით, აპარატის დებულებით, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

1.8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოებით დასრულებული საქმეების დაცვა და შენახვა.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

საკრებულოს თავმჯდომარე